

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2 4 5 9

ქ. ბათუმი, 25 ივლისი 2018 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 აპრილის №344  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 აპრილის №344 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების წერილობით დასაბუთებაში (საკონსტატაციო ნაწილში) ნაცვლად: „4) ქ.ბათუმში, ზღვისპირა პარკის (პლაჟი) ტერიტორიაზე არსებული 4645,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“-სა მიეთითოს: „4) ქ.ბათუმში, ზღვისპირა პარკის (პლაჟი) ტერიტორიაზე არსებული 3834,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“.

ბ) ბრძანების (განკარგულებითი ნაწილის) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის (პლაჟი) ტერიტორიაზე არსებული 3834,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;“

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თენგიზ პეტრიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ